ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 53

19 აპრილი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა სარეკვიზიო, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ტრანსპორტის საკითხთა და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან ერთად

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე,გოჩა თვდორაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ნინო კვეტენაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგის პირველ საკითხს განიხილავს ყველა კომისია, ხოლო დანარჩენი საკითხების განხილვას გააგრძელებს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. (12-031905990-03)
2. კომერციულ ბანკებში გახსნილი საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდის მიზნით, ქალაქ თბილისის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (16-0319105118-03)

3. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი #11-01191023581; #11-01191082415 ქ"თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.(#15-0319102138-03 12,04,2019წ; 15-0319108121-03 18.04.2019წ)
4. ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირი №24-26 -ის მიმდებარედ არსებული 42 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი:01.15.05.010.047) 20 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაიფაზისთვის" (ს/კ 404553700) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. (№12-031909317-03)
5. ქ.თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ.№51/2-ის მიმდებარედ არსებული 22 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი №01.17.01.132.009) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისთვის" (ს/კ 204861961) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" (№12-031909317-03)
6. ქ.თბილისში, იერუსალიმის ქ.№1-ის მიმდებარედ არსებული 83 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.18.03.066.011) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ქერო"-სთვის (ს/კ 416341300) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.(№12-031909317-03)
7. ქ.თბილისში, შ. დადიანის ქ.№7-ის მიმდებარედ არსებული 12 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.15.05.075.025) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ გავაშელისთვის (პ/ნ01019062511) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. (12-031909317-03)
8. ქ.თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.№48-ში (საკ/კოდი :01.14.05.003.007.01.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" (№12-03190070106-03)
9. ქ.თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.№48-ში (საკ/კოდი :01.14.05.003.007.01.518) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" (№12-031909862-03)
10. ქ.თბილისში, ვაზისუბნის III მ/რ-ის II კვარტლის კორპ.17-ში (საკ/კოდი:101.17.07.006.006.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (12-0319085147-03)
11. ქ.თბილისში, ვარკეთილის მასივი-3, III მ/რ №319-ში (საკ/კოდი: 01.19.39.010.001.01.024) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(№12-031909862-03)
12. ქ.თბილისში, ოცხელის ქ.№4-ში (საკ/კოდი: 01.19.33.002.017.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (12-031909862-03)
13. ქ.თბილისში, მუხიანის დასახლების I მ/რ-ის კორპ.№1-ში (საკ/კოდი: 01.11.13.002.087.02.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(12-031910153-03)

14. ქ.თბილისში, მამია გურიელის ქ.№5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკ/კოდი №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (12-031910075-03)
15. ქ.თბილისში, სოფ.შინდისში მდებარე წყალმომარაგების ქსელის (ს/კ :81.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.
16. ქ.თბილისში, მუხიანის დასახლება IV მ/რ-ში მდებარე 35047 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(12-031910153-03)

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრების მიერ დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს გაიოზ თალაკვაძის ინფორმაცია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 1,052,185.7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1,094,094.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 104%.

შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1,000,685.7 ათასი ლარი, ფაქტიურად 1,039,090.5 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 103.8% და მთლიანი - შემოსულობების 95% შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 249,606.5 ათასი ლარი. წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 256,944.2 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 7,337.8 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 170,779.7 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 209,919.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 122.9%-ია. პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 10,932.6 ათასი ლარი. დივიდენდებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 45.4 ათასი ლარი. რენტის სახით მობილიზებულია 5,121.2 ათასი ლარი, ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 145,483.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (121,175.0 ათასი ლარი) 120.1%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელიდან მთლიანობაში მიღებულია 7,331.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,850.0 ათასი ლარი) 396%-ია. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი საანგარიშო პერიოდში მიღებულია 77,868.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (64,000.0 ათასი ლარი) 121.7% და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (62,995.3 ათასი ლარი) შედარებით 14,872.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 47,420.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 45,000.0 ათასი ლარის 105.4%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (45,882.9 ათასი ლარი) შედარებით 1,537.4 ათასი ლარით მეტია. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 40.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (70.0 ათასი ლარი) 58.3%-ია. მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 11,854.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (10,000.0 ათასი ლარი) 119%-ია და წინა წლის

ანალოგიურ მაჩვენებელთან (19,472.9 ათასი ლარი) შედარებით 7,618.7 ათასი ლარით წაკლებია. ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 38,250.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (33,971.2 ათასი ლარის) 112.6%-ია. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 8,676.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (6,733.4 ათასი ლარი) 128.9%-ია.

არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 53,775.6 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 5,022.3 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 16.0 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 48,737.3 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივებიდან საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 1,228.0 ათასი ლარი.

ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 0.3 ათასი ლარი (შემოსულობები სხვა კრედიტორული დავალიანების სახაზინო კოდზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულების ზრდას).

2018 ს გადასახდელების შესრულების 98%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 297,807.5 ათასი ლარით, გეგმის (304,437.2 ათასი ლარი) 97.8%-ია;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 174,491.8 ათასი ლარით, გეგმის (179,357.9 ათასი ლარი) 97.3%;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 138,676.5 ათასი ლარით, გეგმის (140,287.1 ათასი ლარი) 98.8%;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1,888.9 ათასი ლარით, გეგმის (2,257.3 ათასი ლარი) 83.7%;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 17,662.1 ათასი ლარით, გეგმის (18,219.6 ათასი ლარი) 96.9%;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 192,866.3 ათასი ლარით, გეგმის (194,113.5 ათასი ლარი) 99.4%-ი;

განათლება - 140,951.1 ათასი ლარით, გეგმის (142,726.2 ათასი ლარი) 98.7%;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 27,016.8 ათასი ლარით, გეგმის (28,665.7 ათასი ლარი) 94.2%;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 3,604.9 ათასი ლარით, გეგმის (3,633.8 ათასი ლარი) 99.2%;

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 71,610.1 ათასი ლარით, გეგმის (73,165.3 ათასი ლარი) 97.9%.
საკითხის განხილვა წარიმართა კითვა-პასუხის რეჟიმში.
კომისიების წევრთა შეკითხვებზე განმარტეს გაიოზ თალაკვაძემ და ლევან მიქავამ.
შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.
მომხრე-9
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით გადაწყდა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის" საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: კომერციულ ბანკებში გახსნილი საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდის მიზნით, ქალაქ თბილისის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.
გაზიო თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ქალაქის მასშტაბით გზების კაპიტალური შეკეთებისათვის, მეტროს ვაგონების მოდერნიზაციისა და მეწყერსაწინააღმდეგო საინჟინრო ნაგებობების მშენებლობისათვის 12 მლნ ლარის ოდენობით დამატებითი სახსრების მოძიებასთან დაკავშირებით, წარმოიშვა კომერციულ ბანკებში გახსნილი საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდის აუცილებლობა, ფინანსთა სამინისტროდან მისაღები ტრანსფერის ხარჯზე. ამასთან დაკავშირებით საჭიროა საკრებულოს თანხმობა.
საკითხთან დაკავშირებით ირაკლი ზაქრუამ დააზუსტა, რომ იმისათვის რომ ტენდერები დროულად გამოცხადდეს და სამუშაოების დაწყება დროში არ გაიწელოს, საჭირო გახდა საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდა.
საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
მომხრე-9
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი #11-01191023581; #11-01191082415 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.
საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ.
ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახური ითხოვს 1 500 000 ლარის დამატებას „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებების პროგრამაში". სამსახურის წერილობით მოთხოვნაში აღნიშნულია, რომ აღნიშნული თანხა საჭიროა ვახუშტის ხიდის ფილების მოწყობის და ხიდის სამღებრო სამუშაოებისთვის; ფიქრის გორაზე კედლის ფილებით მოპირკეთებისთვის და ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაციის ფარგლებში, ახალი სკამების მოსაწყობად შესაძლებელია გამოყენებული იქნას საბიუჯეტო პროგრამაში - 02.03.01- "საპროექტო–საძიებო სამუშაოები, პროექტებისა და შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები და სხვა ხარჯები" არსებული 1,5 მილიონი რესურსი, რომელიც არ არის დატვირთული ვალდებულებებით.

გარდა ამისა ჯანდაცვის საქალაქო სამსახურს კომუნალური სუბსიდიების პროგრამაში მეორე კვარტალში დამატებით სჭირდება 154 000 ლარი. მარტის თვეში ბენეფიციართა მიერ დაგეგმილთან შედარებით მეტი ელექტროენერგიის მოხმარების გამო. საბურთალოს რაიონს რამოდენიმე ოჯახსათვის ფინანსური დახმარების გასაცემად მეორე კვრატალში სჭირდება 1400 ლარის დამატება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-9

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახური, ვაკისა და საბურთალოს რაიონის გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილებას, **ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:**

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი ქონების საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ნინო კვეტენაძემ.

მოისმინეს: ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირი №24-26 -ის მიმდებარედ არსებული 42 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი:01.15.05.010.047) 20 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაიფაზისთვის" (ს/კ 404553700) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

შპს „მაიფაზის"სარგებლობის უფლებით იჯარით გადაეცემა, თბილისში, რუსთაველის გამზ. №24-26-ის მიმდებარედ არსებული 42 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.047) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №26-ში მდებარე 90.45 კვ.მ. ფართს, 10 წლის ვადით. განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 3 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ.№51/2-ის მიმდებარედ არსებული 22 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი №01.17.01.132.009) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისთვის“ (ს/კ 204861961) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“

შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიას“, ქეთევან წამებულის გამზ.№51/2-ის მიმდებარედ არსებული 22 კვმ მიწის ნაკვეთი (საკ/კოდი №01.17.01.132.009) გადაეცემა კიბისა და პანდუსის მოწყობის მიზნით. წლიური საიჯარო ქირაა 2700 ლარი.იჯარის მოქმედების ვადა 10 წელი.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, იერუსალიმის ქ.№1-ის მიმდებარედ არსებული 83 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.18.03.066.011) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ქერო“-სთვის (ს/კ 416341300) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

შპს „ქერო“-ს იჯარით გადაეცემა თბილისში, იერუსალიმის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული 83 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.18.03.066.011) ღია კაფეს მოსაწყობად, 10 წლის ვადით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია იჯარით უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, იერუსალიმის ქ. №1-ში მდებარე სარდაფს (ს/კ: 01.18.03.066.002.01.512), ხელშეკრულებაში იჯარის მოქმედების კონკრეტული ვადის მითითების გარეშე. არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 თებერვლის №60-01190511172 წერილობითი ინფორმაციით და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 07.02.19წ. გადაწყვეტილებით დადებითი შეფასება მიეცა იერუსალიმის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის იჯარის განკარგვის საკითხს ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გარკვეული რეკომენდაციით.

განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 7000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, შ. დადიანის ქ.№7-ის მიმდებარედ არსებული 12 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.15.05.075.025) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ გავაშელისთვის (პ/ნ01019062511) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

მიხეილ გავაშელს (პ/ნ: 01019062511) იჯარით გადაეცემა ქალაქ თბილისში, შ. დადიანის ქ. №7-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.025)

ღია კაფეს მოსაწყობად, ხუთი წლის ვადით. აღნიშნული პირი თანასაკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, შ. დადიანის ქ. №7-ში მდებარე ფართებს (ს/კ: №01.15.05.075.003.01.516; №01.15.05.075.003.01.517). საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 28.02.19წ. #001342919 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 12 კე.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2019 წლის 27 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1440 ლარით. განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.№48-ში (საკ/კოდი :01.14.05.003.007.01.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

აღნიშნული საკითხი ნინო კვეტენაძის განმარტებით განსახილველად წარმოდგენილიიყო წინა სხდომაზე და მათი თხოვნით საკითხის განხილვა გადაიდო. დამატებით იქნა ინფორმაცია მოძიებული. მოქალაქე თეიმურაზ ჩხეიძე, როგორც მიწისძვრით დაზარალებული 2001 წელს შესახლებული იქნა აღნიშნულ ფართში. 2012 წლიდან განხორციელდა მსგავსი ფართების დაკანონება, მაგრამ პიროვნებამ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ბინის დაკანონება. მოქალაქეს გადაეცემა 36,86 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, სადაც ცხოვრობს შვილთან და 2 შვილიშვილთან ერთად. ირაკლი ზარქუას შეკითხვაზე ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხთან მიმართებაში სამსახურმა დამატებით მოიკვლია და კითხვის ნიშნები არ არის.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.№48-ში (საკ/კოდი :01.14.05.003.007.01.518) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მოქალაქ ზინაიდა კანდელაკს (პ/ნ 01024012446) საკუთრებაში გადაეცემა ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.№48-ში (საკ/კოდი :01.14.05.003.007.01.518) მდებარე უძრავი ქონება ფართით 18,01 კვმ. როგორც ვაკის რაიონის გამგეობა აღნიშნავს წერილობით შუამდგომლობაში, მოქალაქემ 2012 წელს მაშინდელი მთავრობის მიმართ უნდობლობის გამო უარი განაცხადა ბინის დაკანონებაზე. ქალბატონი არის მარტოხელა, სოციალურად დაუცველი პენსიონერი, სარგებლობს გამგეობის უფასო სასადილოთი.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ვაზისუბნის III მ/რ-ის II კვარტლის კორპ.17-ში (საკ/კოდი:101.17.07.006.006.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.
მოქალაქე ენნიკ ავდოიანს გადაეცემა საკუთრებაში ღნიშნულ მისამართზე 60 კვმ საცხოვრებელი ფართი. აღნიშნული ბინა შეძენილი იქნა საქართველოს ბანკის მიერ 2002 წლის მიწისძვრით დაზარალაბულთათვის, რომელიც შემდეგ გადაეცა თვითმმართველობას. მოქალაქეს წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს აღნიშნულ ფართში მისი ცხოვრების ფაქტს.
მომხრე-9
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოიმსინეს: ქ.თბილისში, ვარკეთილის მასივი-3, III მ/რ №319-ში (საკ/კოდი: 01.19.39.010.001.01.024) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.
მოქალაქე სიავუშ კიკინაძეს (პ/ნ 01013025377) საკუთრებაში გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 97,35 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე აღნიშნულ ფართში ცხოვრობს 23 წელი.
მომხრე-9
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ოცხელის ქ.№4-ში (საკ/კოდი:01.19.33.002.017.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.
მოქალაქე გიორგი ინასარიძეს (პ/ნ 01029002335) საკუთრებაში გადაეცემა 71 კვმ საცხოვრებელი ფართი.
მომხრე-9
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, მუხიანის დასახლების I მ/რ-ის კორპ.№1-ში (საკ/კოდი:01.11.13.002.087.02.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ირინა გაგნიძეს (პ/ნ 01001037319) საკუთრებაში გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 16,39 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2007 წლიდან.
მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, მამია გურიელის ქუჩა №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკ/კოდი №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა დავით სოკოლოვის (პ/ნ 01018002131) წინაშე არსებული საცხოვრებელი პრობლემის შესახებ. საკითხი დაკავშირებულია ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №5-ში მშენებარე საცხოვრებელ კომპლექსში მისთვის და მისი მეუღლისთვის განკუთვნილ 122 კვ.მ. ფართობის ბინასთან, რომელიც გადაეცათ ვაკის რაიონის გამგეობის 2014 წლის 13 აგვისტოს №6 ბრძანებით. ბრძანების შესაბამისად გამოცემულ იქნა საკუთრების უფლების მოწმობაც, რომლის საფუძველზე, ეს ბინა, როგორც მშენებარე ობიექტი, საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მათ თანასაკუთრებად (ს/კ: №01.14.14.003.143.01.040). გარკვეული გარემოებების გამო ვერ მოხერხდა მშენებლობის დასრულება. დავით სოკოლოვის წინაშე არსებული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, მისთვის განკუთვნილი, დაუმთავრებელი ბინის სანაცვლოდ, მისთვის გადასაცემად განიხილება ქ. თბილისში, მამია გურიელის ქუჩა #5ა-ში არსებული ოთხი ბინა (№01.14.15.001.300.03.03.001; №01.14.15.001.300.03.03.002; №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520). განკარგულების პროექტით, საკითხი განიხილება დავით სოკოლოვის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით და მისთვის გამოყოფილი ბინის საბაზრო ღირებულებად განიხილება მწვანე კარკასის მდგომარეობით განსაზღვრული ოდენობა. ამ განკარგულების პროექტით, აღნიშნულ პირს გადაეცემა 70.3 კვ. ფართობის და 51.3 კვ.მ. ფართობის ბინები (ს/კ: №01.14.15.001.300.03.03.007; №01.14.15.001.300.03.03.520). განკარგულების პროექტი ასევე ითვალისწინებს მისი განცხადებით წარმოდგენილი თხოვნის დაკმაყოფილებას, 122 კვ.მ. ფართობის ბინის საბაზრო ღირებულების გადამოწმებასთან და განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, სოფ.შინდისში მდებარე წყალმომარაგების ქსელის (ს/კ :81.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მთაწმინდის რაიონის გამგეობამ, წერილებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „ბილდინგ-დეველოპერთან" (ს/ნ: 406039692) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სოფელ შინდისში მოწყობილ წყლის მაგისტრალურ და გამანაწილებელ ქსელთან დაკავშირებით და ითხოვა აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობის რეგისტრაცია და ამხანაგობისთვის გადაცემა. ამასთან, გამგეობა იღებს ვალდებულებას, ეს წყლის გამანაწილებელი ქსელი და ტერიტორიაზე განთავსებული სატუმბო სადგური

ელექტროენერგიით უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით. ამ ობიექტების საკუთრებაში გადაცემა ითხოვა ამხანაგობა „ს. შინდისის მებაღეობის“ თავმჯდომარემ. საკითხი შესათანახმებლად წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. საკითხის საკრებულოსთან შეთანხმებამდე, საკრებულოს წარედგინა სოფელი შინდისის მაცხოვრებლების 2019 წლის 15 თებერვლის განცხადება (საკრებულოში რეგისტრ. #19/03159158-03), რომლითაც აღნიშნეს, რომ ამხანაგობა „მებაღეობა“ რეალურად არ გამოხატავს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რეალურ ინტერესებს და ითხოვეს აღნიშნულის გათვალისწინება. განცხადებით წარმოდგენილი პოზიცია ეცნობა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს. ამხანაგობა „სოფ. შინდისის მებაღეობის“ წარმომადგენელმა, განცხადებით მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგეობას და აღნიშნული წყალმომარაგების ობიექტის გადაცემა ითხოვა ტერიტორიაზე შექმნილი სხვა ამხანაგობისთვის - საერთო საქმიანობის ამხანაგობა „სოფელი შინდისის მოსახლეობისთვის“.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი გადადებული იყო რადგან არ იყო გათვალისწინებული სოფ.შინდისის ყველა მოსახლის ინტერესი. ეს არის ახალი ამხანაგობა და სწორი გადაწყვეტილებაა მიღებული.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში,მუხიანის დასახლება IV მ/რ-ში მდებარე 35047 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ბექა ოდიშარიამ მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქ. თბილისში, ბერძნის ქ. №39-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ: №01.18.04.009.032; №01.18.04.020.183) მონაცვლეობის საკითხის განხილვა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ: №01.18.04.020.183) დაგეგმილი ჰქონდათ სასტუმროს მშენებლობა. საზოგადოების განხილვის საგნად იქცა დედაქალაქის ტერიტორიაზე ლანდშაფტური მდგომარეობის შენარჩუნების და ქალაქის ამ ტერიტორიაზე განაშენიანების მიზანშეწონილობის საკითხი. მიწის ნაკვეთებზე პროექტის განხორციელებამ კი შეიძლება გამოიწვიოს ლანდშაფტში შეჭრა, მისი ცვლილება. ამ გარემოებების გათვალისწინებით, განმცხადებელი თანახმაა, სამშენებლო განვითარების შესაძლებლობის მქონე სხვა ტერიტორიაში გაცვალოს ორივე უძრავი ქონება, საბაზრო ღირებულებების გათვალისწინებით. ამ მიზნით შესაძლებლად მიიჩნია განხილულ იქნეს ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მ/რ, რადიო ქარხნის მოპირდაპირე მხარეს არსებული 35047 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.11.17.005.109). ასევე აღნიშნა, რომ თუ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულებას, სხვაობის არანაკლები ოდენობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრულ საპრივატიზებო

საფასურს გადაიხდის დამატებით. ხოლო, თუ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება სანაცვლოდ გადმოსაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, ამ სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნება არანაირი პრეტენზია თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ. გამომდინარე იქედან რომ, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ამ ადგილზე ლანდშაფტური ზონის შენარჩუნება, მუნიციპალიტეტის მოაერობას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტა.
საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.
აზრი გამოთქვეს ირაკლი ზარქუამ, რამინა ბერაძემ, ვახტანგ შაქარიშვილმა, დავით უთმელიძემ, ბექა დავითულიანმა, ლევან ჯაფარაძემ, ლევან არველაძემ. შეკითხვები ეხებოდა მიწის ნაკვეთების შეფასების საკითხს.
ვახტანგ შაქარიშვილმა იკითხა, თუ მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელი იყო ამ ადგილზე ლანდაშატის შენარჩუნება, რატომ გაიცა მშენებლობის უფლება, რამდენი აქვს გადახდილი მიწის ნაკვეთებში თავის დროზე ბექა ოდიშარიას და სთხოვა ნინო კვეტენაძეს წარმოედგინა სტატისტიკა თუ რამდენი განცხადებაა შემოსული მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით და რამდენი დაკმაყოფილდა. ასევე, რატომ არის ეს საკითხი უფრო მნიშვნელოვანი და არა სხვა საკითხები მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით. ლევან ჯაფარიძემ კი აღნიშნა, რომ დღეს რომ საკითხის განხილვა მიწის ლეგალიზების გზით ყოფილიყო განსახილველი დადებით გადაწყვეტილებას არავინ მიიღებდა, გარდა ამისა მიწის ნორმატიული ფასი გაცილებით ნაკლებია და რატომ ფასდება ამ სხვაობით.
შეკითხვებზე განმარტა ნინო კვეტენაძემ. მან აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის უფლების გაცემა არქიტექტურის სამსახურის პრეროგატივაა, ხოლო რაც შეეხება სტატისტიკას ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით, საკმაო რაოდენობის განცხადებები შემოდის. ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ ადამიანს 2008 წლიდან სხვადასხვა დროს აქვს შეძენილი მიწის ნაკვეთები და მაშინდელი მიწის ნაკვეთის ღირებულება და დღეის მდგომარეობით არსებული, რათქმა უნდა განსხვავებული იქნება. შეფასებები გაკეთებულია სსიპ სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის მიერ. პიროვნებას ქონდა მშენებლობის ნებართვა, გაითვალისწინა საზოგადოებრივი აზრი და წამოვიდა დათმობაზე. ასევე მან სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა ის საკითხები, სადაც მიღებული იქნა ანალოგიური გადაწყვეტილება. მსჯელობა ეხებოდა ასევე მიწის ნაკვეთების შეფასებებს. ლევან ჯაფარიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე მიწის ნორმატიულ ფასებთან დაკავშირებით, განმარტა დავით უთმელიძემ.
შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.
მომხრე- 8. წინააღმდეგი- ვახტანგ შაქარიშვილი.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი
ზარქუა.